საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

საია და “სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ 8 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობის მიმდინარეობას საქართველოს 10 ქალაქში დააკვირდება

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და □□□□□□□□□□□□ არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება □ Ḍ□□□□□□□ ნაციონალური მოძრაობის □ მიერ 2012 წლის 8 სექტემბერს საქართველოს 10 ქალაქში საარჩევნო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი ყრილობის მიმდინარეობას დააკვირდება. დაკვირვებას ორგანიზაციის წარმომადგენლები ზუგდიდში, ოზურგეთში, ბათუმში, ამბროლაურში, ახალციხეში, ქუთაისში, გორში, თელავში, რუსთავსა და მცხეთაში განახორციელებენ. სადამკვირვებლო ორგანიზაციები დაკვირვებას წინასაარჩევნო გარემოს გრძელვადიანი მონიტორინგის ფარგლებში ახორციელებენ, რაც პოლიტიკური პარტიების მიერ ორგანიზებულ საჯარო შეხვედრების მიმდინარეობისა და შეკრებებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელების მონიტორინგს გულისხმობს.

ორგანიზაციის დამკვირვებლები მონიტორინგს გაუწევენ აღნიშნულ ქალაქებში მიმდინარე მოვლენებს, რომლებიც 2012 წლის 8 სექტემბერს საარჩევნო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი ყრილობის ორგანიზებას და ყრილობაში მონაწილე მოქალაქეების მობილიზება-გადაადგილებას უკავშირდება, ასევე დაესწრებიან პროგრამის „მეტი სარგებელი ხალხს“ პრეზენტაციას.